

სესხის ხელშეკრულება

.....
(ხელშეკრულების დადების ადგილი)

.....
(ხელშეკრულების დადების თარიღი)

ერთის მხრივ წარმოდგენილი სახით, შემდგომში „**გამსესხებელი**“ და მეორეს მხრივ წარმოდგენილი სახით, შემდგომში „**მსესხებელი**“, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. გამსესხებელი კისრულობს ვალდებულებას გასცეს პროცენტის სესხი ლარის ოდენობით, წლის ვადით, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას დააბრუნოს სესხად აღებული თანხა ვადაში და გადაიხადოს შესაბამისი პროცენტი.
- 1.2. სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურად გასესხებული მთლიანი თანხის 17 %-ს.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 2.1. გამსესხებელი ვალდებულია სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა უნაადლო ანგარიშსწორების წესით გადაურიცხოს მსესხებელს შესაბამის საბანკო ანგარიშზე სესხის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან დღის ვადაში;
- 2.2. მსესხებელი ვალდებულია სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა დაუბრუნოს კრედიტორს ერთიანად
- 2.3. მსესხებელი ხელშეკრულების ვადის გასვლის დღეს იხდის მხარეთა მიერ განსაზღვრულ პროცენტს მთლიანი თანხის გათვალისწინებით;
- 2.4. გამსესხებლის თანხმობის შემთხვევაში მსესხებელი უფლებამოსილია სესხი დაფაროს ვადაზე ადრე;
- 2.5. მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების შემთხვევაში გამსესხებელი იტოვებს უფლებას დროზე ადრე მოითხოვოს სესხი ან მისი ნაწილი.

3. ხელშეკრულების ვადის გასვლა

- 3.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ორივე მხარე წერილობითი ფორმით ადასტურებს სესხის პირობების შესრულებას.
- 3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მსესხებელი პირგასამტეხლოს სახით იხდის მთლიანი სესხისა და პროცენტის 0.2 % -ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 4.1. მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის;
- 4.2. თითოეული მხარე ვალდებულია დაკისრებული ვალდებულება შესარულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში, ამასთან თითოეულმა მათგანმა ხელი უნდა შეუწყოს მეორე მხარეს ვალდებულების შესრულებაში. მხარე რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.
- 4.3. მხარე, რომელიც დაუსაბუთებლად არიდებს თავს ხელშეკრულების დადებას, ვალდებულია აუნაზღაუროს მხარეს ამით მიყენებული ზარალი;
- 4.4. მხარეს, რომელიც არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობებს, ეკისრება ვალდებულება გადაიხადოს პირგასამტეხლო ოდენობით ყოველი ვადა გადაცილებული დღისათვის.

5. ფორს-მაჟორი

- 5.1. მხარეები დროებით, ამგვარი გარემოებების ლიკვიდაციამდე, თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის, თუ ეს განპირობებულია ერთ-ერთი მხარის დაუძლეველი ძალის გამო (ხანძარი, წყალდიდობა, ომი, სახელმწიფო აქტი და ა.შ). თუ ეს გარემოებები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, ორივე მხარეს უფლება აქვს გააუქმოს წინამდებარე ხელშეკრულება და არც ერთ მხარეს არ წარმოეშობა მოთხოვნა დანაკარგების ანაზღაურებაზე.
- 5.2. მხარე, რომლისათვისაც, ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო, შეუძლებელი გახდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია აღნიშნული გარემოებების დასრულებისთანავე, დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზების შესახებ.
- 5.3. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორსმაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

7. დავათა გადაჭრის წესი

- 7.1. მხარეთა შორის, ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა, უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.
- 7.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

8. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

8.1. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს მხარეთა დამატებითი, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ბათილია.

9. ხელშეკრულების სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების ყველა პუნქტი და პირობა გაგებულია მათ მიერ სწორად და ეთანხმებიან მათ.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, თითოეული მხარისთვის გადასაცემად.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

გამსესხებელი

პ/ნ: -----
მის: -----
ტელ: -----
ელ.ფოსტა: -----
ფაქსი: -----
საბანკო რეკვიზიტები: -----

მსესხებელი

პ/ნ: -----
მის: -----
ტელ: -----
ელ.ფოსტა: -----
ფაქსი: -----
საბანკო რეკვიზიტები: -----